# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №551

01 აგვისტო 2012 წელი ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქის მერის გიორგი თევდორაძეს სახით, (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-54-54)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს „მეოხი", (შემდგომში „მიმწოდებელი") მისი დირექტორის ჯემალ კვერნაძის სახით, (მისამართი: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ. №6; ტელ: 568 01 11 55), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10' მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისში დეპოს ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.
1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების აღწერა მოცემულია დანართ ხარჯთაღრიცხვაში.
1.3 კლასიფიკატორის კოდი –45200000 .

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 60000 (სამოცდათასი) ლარი.
2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს შემსყიდველის მიერ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს – დღგ–ს ჩათვლით.

## 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
3.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოების ნაწილს, წუნდების მიზეზების მითითებით;
3.3 მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრის გამოვლენილ დეფექტს და ნაკლს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
3.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;
3.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განხორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ;
3.6 ინსპექტირების ჯგუფი ამოწმებს შესრულებული სამუშაოს მოცულობას და ხარისხს.

## 4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 28 სექტემბრამდე.
4.2 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს წინამდებარე ხელშეკულებაში ცვლილებების შეტანის უფლება მეორე მხარესთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ეტაპობრივად.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზა ჩაატაროს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში".
5.3 მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადებითი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე;
5.4 ობიექტი საბოლოოდ მიღებულად ჩაითვლება ამ მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების წარმოდგენისა და ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.5 ფაქტიური შესრულების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

## 6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება ხორციელდება „მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე ეტაპობრივად;

6.2 „მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,

ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,

გ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი დ.ღ.გ–ს ანგარიშფაქტურა.

6.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო;

6.4 ანგარიშსწორების ვადაა სამუშაოს შუალედური და/ან საბოლოო შესრულების აქტის დამტკიცებიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

6.5 მიმწოდებლის მიერ წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს წინასწარი ანგარიშსწორება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%–ის ოდენობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 7. გარანტია

7.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოს შეასრულებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით;

7.2 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადათ განისაზღვრება 5 (ხუთი) წელი, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლოატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

## 8.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

–სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 შემსყიდველი ვალდებულია:

– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

–დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად დაუსაბუთებელი შეწყვეტის შემთხვევაში, შემწყვეტი მხარე გადაიხდის 20000 (ოცდათასი) ლარს.

11.2 რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს, ხოლო დამრღვევი მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია გადაუხადოს მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%-ს;

11.3 იმ შემთხვევაში თუ რომელიმე მხარის საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

11.4 ამ ხელშეკრულების 11.3 და 12.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო 9000 (ცხრაათასი) ლარის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

11.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;

11.6 საჯარიმო სანქციის გადახდა მხარეს არ ათავისუფლებს სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს დამრღვევს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ßხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან – 2012 წლის 28 სექტემბრამდე.

17.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

## 18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| ქალაქ ქუთაისის მერია | შ.პ.ს ,,მეოხი" |
| მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3 | მის: ქ. ქუთაისი, ნიკეას ქ.№6 |
| ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია" | ს.ს ,,ლიბერთი ბანკი" |
| ქუთაისის ფილიალი | |
| ბ/კოდი: UGEBGE22 | ბ/კოდი: 220101400 |
| ა/ა № 33033303 | ა/ა GE53LB0113111814410000 |
| ს/კოდი: 212721170 | ს/კოდი: 212804722 |
| ქალაქ ქუთაისის მერია | შ.პ.ს ,,მეოხი" |
| | დირექტორი |
| --- | --- |
| გიორგი თევდორაძე | ჯემალი კვირნაძე |

# ქალაქ ქუთაისში დეპოს ქუჩის კანალიზაციის ქსელის მოწყობა
## ხარჯთაღრიცხვა
## საკანალიზაციო ქსელი

| № | სამუშაოების ჩამონათვალი | განზომილება | რაოდენობა | მასალა | | ხელფასი | | ტრანსპორტი | | სულ ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 1 | თხრილის გაჭრა მექანიზმით | მ³ | 685.84 | 0.00 | 0.00 | 2.50 | 1714.60 | 7.20 | 4938.05 | 6652.65 |
| 2 | თხრილის დამუშავება ხელით | მ³ | 68.58 | 0.00 | 0.00 | 6.50 | 445.77 | 0.00 | 0.00 | 445.77 |
| 3 | თხრილის შევსება ღორღით | მ³ | 108.10 | 20.50 | 2216.05 | 1.500 | 162.15 | 9.20 | 994.52 | 3372.72 |
| 4 | თხრილის შევსება ქვიშით მილის ქვეშ 10სმ და მილის ზემოთ 20სმ | მ³ | 101.91 | 10.20 | 1039.48 | 1.50 | 152.87 | 9.20 | 937.57 | 2129.92 |
| 5 | ბალასტის ჩაყრა | მ³ | 519.72 | 7.50 | 3897.90 | 1.50 | 779.58 | 9.20 | 4781.42 | 9458.90 |
| 6 | ზედმეტი მიწისა და ასფალტის ნატეხების გატანა ავტოთვითმცლელით 5კმ-ზე | მ³ | 779.13 | 0.00 | 0.00 | 1.58 | 1231.03 | 9.20 | 7168.00 | 8399.02 |
| 7 | პლასტმასის კანალიზაციის გოფრირებული მილი დ=200მმ SN4 | მ | 248.00 | 11.80 | 2926.40 | 1.50 | 372.00 | 1.50 | 372.00 | 3670.40 |
| 8 | პლასტმასის კანალიზაციის გოფრირებული მილი დ=150მმ SN4 | მ | 20.00 | 9.50 | 190.00 | 1.50 | 30.00 | 1.50 | 30.00 | 250.00 |
| 9 | კანალიზაციის რკინა ბეტონის ჭა H=1.0 d=1.0 | კომპ | 3.00 | 460.00 | 1380.00 | 25.00 | 75.00 | 45.00 | 135.00 | 1590.00 |
| 10 | კანალიზაციის რკინა ბეტონის ჭა H=3.0 d=1.0 | კომპ | 6.00 | 680.00 | 4080.00 | 25.00 | 150.00 | 45.00 | 270.00 | 4500.00 |
| 11 | კანალიზაციის რკინა ბეტონის ჭა H=2.0 d=1.0 | კომპ | 1.00 | 580.00 | 580.00 | 25.00 | 25.00 | 45.00 | 45.00 | 650.00 |
| 12 | კანალიზაციის რკინა ბეტონის ჭა H=2.5 d=1.0 | კომპ | 1.00 | 530.00 | 530.00 | 25.00 | 25.00 | 45.00 | 45.00 | 600.00 |
| 13 | კანალიზაციის რკბეტონის ჭის ძირების მოწყობა | ც | 11.00 | 52.00 | 572.00 | 15.00 | 165.00 | 2.60 | 28.60 | 765.60 |
| 14 | მიერთება არსებულ კანალიზაციის ჭაზე | ადგ | 1.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 | 20.00 | 0.00 | 0.00 | 20.00 |
| 15 | კანალიზაციის ჭის თაროების მოწყობა მ-200 მარკის ბეტონით | მ³ | 1.98 | 130.00 | 257.40 | 19.45 | 38.51 | 0.00 | 0.00 | 295.91 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ჯამი | ლარი | | | 17669.23 | | 5386.50 | | 19745.16 | 42800.89 |
| | ზედნადები ხარჯები% | 10% | | | | | | | | 4280.09 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 47080.98 |
| | გეგმიური დაგროვება % | 8% | | | | | | | | 3766.48 |
| | ჯამი | ლარი | | | | | | | | 50847.46 |
| | დ.დ.გ. % | 18% | | | | | | | | 9152.54 |
| | სულ ჯამი | ლარი | | | | | | | | 60000.00 |

შ.პ.ს. "მეოხი"-ს დირექტორი: ჯ. კვერნაძე

მეოხი
212804722
MEOCHI
MEOXI